

ნახ. ჯ. ლომუასი




კარიერისტს ფიქრი ტანჯავს!

– სჯამი არის ფიქრი მისი!..

თავის ადგილს არ სჯერდება:

„უფრო დიდის ვარო ღირსი!“



კარიერა



კარიერა ფრანგული სიტყვაა, მაგრამ მისი „ეტლი“ შორიდან მოდის: კელტურ-ლათინურ-იტალიურ-ფრანგული განსვლავთ. „კარუს“, „კარ-რონ“ — ეტლია. თავდაპირველად ასე უწოდებდნენ ეტლით სრბოლას, ცხენოსანთა ჯირითს სპორტულ ასპარეზობებზე. შემდეგ სხვა გაგება მიიღო: ჯირითი სამსახურში დაწინაურებისათვის, იერარქიულ კიბეზე, მაღალ სართულებზე, ტანტებთან, კაბინეტებში.. აქ შენი ეტლი ვილას ახსოვს?! ის კი არა, კარიერისტს ძველი ბრძნული ანდაზაც აღარ აგონდება: რაც უფრო მაღლა ახვალ, მით უფრო დაბლა დავარდები!

ასეთი სარბენი ბილიკებიდან მხოლოდ ერთი გადასვლა შეიძლება: შუჯდე ეშმაკის ცხენზე და იქროლო, სადამდეც შეიძლება, თუნდაც მეშვიდე ცამდე, ღრიანკელის თანავარსკვლავედამდე!.. ოღონდ თუ იქ შენი მერანი ფაეტონის მზის მერნებით ან მითიურ გმირ ბელეროფონტის პეგასივით დაფრთხა, ღმერთი გაწყრა და ღმერთებამდე ამაღლების მსურველი ხსენებული გმირებით დაბლა დაეშვა, სხვას ნურავის დაბრუნება, თავისი ჭკუისა და მფარველთა უჭკოობის გარდა: „ქებით ცაში აიყვანა, დასტოვა და წაშავდა, — გადმოვარდა საცოდავი, ხასიკვილილოდ დაშავდა“.

მაგრამ ბელეროფონტმა ურჩხული ქიმერა მაინც მოკლა, კარიერისტი კი თვითონ არის ცარიელი ქიმერა!

ჯონათან სვიფტის სატირულ ზღაპრებში პატივმოყვარე კაცი ყოველი ღონისძიებით ლამობს, რომ ბრბოში გზა გაიჭაფოს: მუჯღუგუნებით, მუშტით, იდაყვით, სიტყვით და საქმით, ფულით და სიცრუით!.. სხვათა თავებზე მაღლა ასვლა ძნელია, როგორც

ჯოჯოხეთიდან თავის დაღწევა, და აქ სვიფტი ვერგილიუსის სიტყვებს იმორჩებს: „ზედა ჰაერში გაღწევა! — აი, ჯაფა და შიზანი!“ გაღწევა კი საჭიროა, რადგან იქ, მაღლა, ადამიანთა თავებზე „ბევრია თავისუფალი ადგილი“, რომ მოიკალათოს და საპაერო კოშკები აავოს. თუ გააღწია, ააგებს კიდევ, მაგრამ ისე შორსაა, რომ უბრალო კაცის თვალი ვერ სწვდება, თანაც ისეთი მასალისაა, რომ მცირე ქარიც დაძრავს, თორემ ქარიშხალი და ქარაშოტი ხომ აცამტვრევს!

აი, ეს განსვლავთ კარიერა! ეს უნდელი კაცი კაცთა ზედა მეუფებას იზრახავს, თუმცა მისი კაცობაც და ადამიანობაც საკითხავია!

— როგორ?! — გაიოცებს ვინმე, — განა აღმასვლა დანაშაულია? პირიქით, ეს წესია და ბუნება ყოველი ცოცხალი არსებისა. მაღლა ისწრაფვის ხელოვანი, მეცნიერი, სარდალი!.. მაგრამ საით და როგორ? ღირსეული ადამიანები სხვათა საზიანოდ როდი მიიწევენ მაღლა. ფულის ტომრებზე, ადამიანთა გვამებზე, სინდისის ნამუსრევზე კი არ დადიან, საკუთარი ხელით კვეთენ საფხურებს კლდეზე, აძლევენ ხალხს სიკეთეს და სამაგიეროდ არაფერს ითხოვენ. მაღლა ისწრაფოდნენ დიდი მოღვაწეები, მაგრამ კარიერისტები როდეს იყვნენ! კარიერა ერთია და მისწრაფება — მეორე. კარიერა — ესაა ეგოისტის მისწრაფება მისთვის შეუფერებელი სიმაღლისაკენ, სადაც მას საზოგადოებისათვის მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია. მას კაენს უწოდებდნენ და მის „მისწრაფებას“ ასე წარმოიდგენდნენ: „კარიერა! კაენს უნდა კარიერა გაიკეთოს და ფიქალის მთაც აქციოს მარმარილოს კარიერად. იქნებ უხეც მოიგვაროს, უფრო ძნელი სხვა რამეა: ვინც

ვერ შექმნის ქანდაკებას, მისთვის ქვაც კი არაშია.“


მრავალი ყოფილან კაენის, ფუშეს და ვარლამის შთამომავალი, უღირსად ამაღლებულნი ან ამაღლების მცდელნი! მაღალთან ქლეა და მდაბალთან ქედმაღალი კარიერისტები ყველგან არიან, თუმცა არსად არ არის მათი ადგილი. და მაინც... ცხონდეს მათი სული, რომელიცა რომა ამ უღირსთა გვამთა შინა სადგურობდა და სულთა გადასახლების მარადიული კანონის თანახმად ალბათ ოდესმე მტრედის სხეულშიც დაისადგურებს, თუმცა მეტამფსიქოზის ძალით არც ისა გამოირიცხული, რომ ღრიანკელის სხეულშიც დაისადგუროს, ვითარცა ინდოთ ფილოსოფოსნი ქადაგებენ.

„ბევრია წვეული, ცოტაა რჩეული!“ იმ წვეულთან ერთი ჩაქურით ჭედავდა თავის კარიერას, ბურთულით წერდა მრუდე განაჩენებს, და იმ მეტყედურ-ბურთულიანმა კარიერისტმა, თუმცა მოსამართლედ და მსაჯულად არასოდეს ვარგოდა, ფარაონივით წინასწარ ითხოვა საფლავის ძეგლის აგება, აუგეს კიდევ და ზედ ასეთი ეპიტაფია წაუწერეს:

„კანდიერი კაცი იყავ! — კარიერით დაგიწყია, სამსახურში მონავარი დასტა-დასტა დაგიწყია! კარგად ზვეტე! — გადახედე: ყველგან დაგხვდა კარი ღია, მაგრამ ქვაზე... განსვენების რატომ ორი თარიღია!“

ამ ფინალმა თვითონაც გამოცა: ყოველ გამორჩენილ და გამოუჩენელ ადამიანს, ალექსანდრე მაკედონელსა და შექსპირსაც კი, გარდაცვალების თითო თარიღი ჰყოფნიო! რაღა კარიერისტს არ ეყო და ორი თარიღი დასჭირდა? აქაც ჩანს მისი სისარბე. ღმერთმა შეუნდოს ვარლამის სულს! მეტოქე აღარ გამოუჩინოს წმინდა გიორგიმ ამ კურთხულ ქართულ მიწაზე!

ნახ. ბ. ზუბაშვილისა



ჯონსონის მხარს სიყვარულს ვაძლავთ...



სწორად ვიხილავს ჩემი ბრძოლა არამზადებთან და კარიერისტ ფინიებთან, მორთულ კატებთან, ვინც ნათელ სახეს მიშავებდა, რას არ მწამებდა და რა მზაკვრობით ჩემს დაღუპვას არ ამზადებდა!

აიინა

● ვინაც სიხარბით სხეებზე ამაღლება განუზრახავს, რათა მსმენელთა თავებზე მოექცეს, იდაყვებითა და მუჯღუგუნებით ლამობს აცოცდეს ზემოთ, ვიდრე ყველას თავზე არ მოექცევა, რათა სისულელე იქადაგოს.

ჯონათან სვიფტი

● შევიქვლია დაბეჯითებით განვაცხადო, რომ კაცი მაღალ და საწოთირო მდგომარეობას უფრო იოლად მიიღწევს, ვიდრე მას შეინარჩუნებს.

ჟან დე ლაბრუიერი

● კარიერა არის ცხენი, რომელიც მარადისობის კარიბჭეს უმხედროდ აღწევს.

კარლ კრაუსი

● კარიერა გასლავთ ჯგუფად შეკრულ თანამზრახველთა სამარცხვინო და საშიში ნაშთი, რასაც ავტორიტეტული საზოგადოება ინარჩუნებს, და მაინც შეიცავს ბარბაროსული მდგომარეობის გაშიშვლებულ ნაშთებს.

სოსე მარტი

● ჩვენი აკვირებულნი მისწრაფება, რომ საზოგადოებაში დავიჭიროთ თვალსაჩინო, გამოსაჩენი მდგომარეობა, მოწოდებს მხოლოდ უხერხემლობასა და საკუთარი ძალების რწმენის ნაკლებობას, რაც გვაიძულებს ვიყოთ დამოკიდებული გარეშე ურთიერთობებზე.

ალექსანდრე ბერცანი

● ჩვენ, ქალებს, ვერაფერი გავვიგია დიდების მაძიებელი მამაკაცებისა. თუ განიზრახეს შორს წასვლა, მზად არიან კაცობრიობის გული დაამსხვრიონ, იმ ნამსხვრევებით თავიანთი გზა მოკირწყლონ, რათა გამარჯვების ეტლით უფრო ლაღად იქროლონ.

რაბინდრანათ თაგორი

● ადამიანები, რომელნიც ამაღლებას ლამობენ, მკლავრნი და განუკითხველნი არიან.

მარტინ ანდერსენ ნეჰსე

რაა დიდკაცის კარიერა? — პატარაობა! მრავალ ღირსეულს რომ გაუსწრებს კაცუნა ავი, სურს ყველაზე ცნოს და აღიაროს არარაობა, რომელსაც თვით ვერ შეუცნია თავისი თავი!

ერიხ კესტნერი

● შეგღუდულ ადამიანთა სურვილი ისაა, რომ მათზე მაღლა არავინ იყოს.

კლოდ კელვინუსი

● კარიერას ის იკეთებს, ვინც სხვებისთვის ავსულია.

ლაფონტანი

● არავისთვის არ ვარგა ის, ვინც მხოლოდ თავისთვის ვარგა.

ვოლტარი

● ადამიანებს ის კი არ ასარებთ, რაც აქვთ, არამედ ის აწუსებთ, რაც არ გააჩნიათ.

გალინსკი

● გლიქვენალოვს ის, ვისაც სურს პატონობა მორჩილების ნიღბით.

ნარნიშუსკი



ნავსიანად დაიფშო!

საქართველო
საბჭოთაო

ფეხაბონი

ნავსიანად დაიწყო მიმდინარე ხუთ-წლედ წულუკიძის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებისათვის. სანახევროდ შესრულდა სიმინდის, სოიის, სილოსის, ნამჯათივის, საკვები ძირხევენების დამზადების გეგმები. ყოველი 100 ფურიდან მიიღეს 55 ხბო, ხოლო ქუბიდან — 580 გოჭი. მოზარდულის სადღეამისო წონამატმა 185 გრამი შეადგინა, ხოლო ღორისამ — 170 გრამი, გემურზე ორჯერ ნაკლები. ამის შედეგად საქონლის ხორცის ჩაბარების გეგმა 74,1 პროცენტით შეასრულეს, ხოლო ღორის ხორცისა — 51,7 პროცენტით; გემური 150 ტონა სოია საერთოდ არ ჩაუბარებიათ. დაბალი ხარისხისა და არაკონდიციური პირუტყვის რეალიზაციიდან მიიღეს 76,2 ათასი მანეთით ნაკლები შემოსავალი. იძულებითმა დაკვლამ 260,3 ათასი მანეთით აზარალა გაერთიანება, ხოლო მოუვლელი პირუტყვის დახოცვამ — 113,4 ათასი მანეთით.

კაცს რომ ღმერთი არ სწყალობსო, სწორედ წულუკიძელებზეა ზედგამოტრიალი: მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაზე გადაეხარჯათ 200,4 ათასი მანეთის 12 233 ცენტნერი საკვები ერთეული, აქედან მსხვილფეხა პირუტყვის ხორცზე — 6 530, ხოლო ღორისაზე — 5 703 ცენტნერი საკვები ერთეული. უგულოდ დამზადებულმა სილოსმა ორმოში ვერ გაძლო და ჩამოწერეს 18,6 ათასი მანეთის ღირებულების 818,5 ტონა. ცოტა სიზარმაცის ჭიაც შეეპარათ — 22 კაცდღით ნაკლები გამოიმუშავეს თითოეულ მუშაზე გემურთან შედარებით და შედეგამაც არ დააყოვნა: სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაზე სახსრების გადახარჯვამ 554 ათასი მანეთი შეადგინა. თუ წლის

დასაწყისში დებიტორული დავალიანება 801 ათასი მანეთი იყო, წლის ბოლოს 1 521 ათასი მანეთი შეადგინა.

სოფლის თავაკები, აბა, რის სოფლის თავაკები იქნებოდნენ, თუ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს ვერ იპოვიდნენ? ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, მიაგნეს სასუკვარ გამოსავალს — მიწერეს!..

ქუტირის მებოსტნეობა-მერძეეობის საბჭოთა მეურნეობაში მარტო ორი თვის მანძილზე რძის წარმოება ხელოვნურად გაზარდეს 224,9 ცენტნერით. ხოლო მიყიდვისა — 188 ცენტნერით. შედეგი საუცხოო მიიღეს — ცენტნერი პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 7,17 მანეთით. ექსპერიმენტმა სიმინდშიც გაამართლა. ხელოვნურად გაზარდეს წარმოება 181 ტონით, რამაც 16 289 მანეთი მისცა. ეს კიდევ არაფერი: საპეიტარო მოსავალი 2,7 ცენტნერის ნაცვლად გაიზარდა 14 ცენტნერით. და კიდევ საოცრება: ცენტნერი სიმინდის ღირებულება უჩველეს 40,13 მანეთი ნაცვლად ფაქტობრივ 271 მ2 მანეთისა. მარტო რძისა და სიმინდის მიწერით წლიურ ანგარიშში ზარალი გამოუვიდათ 99 ათასი მანეთი ნაცვლად ფაქტობრივი 146 ათასი მანეთისა!

გუბის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში რძის წარმოება ხელის ერთი მოსმით 2 350 კილოგრამით გაზარდეს, აქედან 1500 კილოგრამი თბილ-თბილი დაალევიანს გოჭებს, მისმა ღირებულებამ 1200 მანეთი შეადგინა. ამ თანხის გადახდა იდგის ავტორებს — მთავარ ზოტეჟნიკოსს დ. გეგუნაძესა და ფურმის გამგეს ნ. ქუთათელაძეს დაუკისრათ! აქ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მომვლელებზე უკანონოდ გასცეს 370

მანეთი ხელფასი. მემინდგრეობის ბრიგადირებზე ხელფასის ღირებულების არ უჩვენეს შემოსავალში აუღებელი 1832 მანეთის პროდუქციის ღირებულება, ხოლო მოსახლეობაში რეალიზებული 40 ტონა ბოლოკი სახელმწიფოსათვის მიყიდულად ჩათვალეს!..

წულუკიძის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმაში ინვენტარიზაცია იდეალურად ჩაატარეს, საუკეთესოდაა გაფორმებული საბუღალტრო ჩანაწერები, რადგან სულ არა ჩანს მეტნაკლებობა, მაგრამ საქსახაგრომრეწვის რევიზორებმა პირველად საბუღალტრო ჩანაწერების მიხედვით და ჯგუფიდან ჯგუფში გადაყვანის რეალობის დადგენისას გამოავლინეს 83 შეჭმული გოჭი. ფურმის გამგეს ა. მანდარიას, ზოტეჟნიკოს ზ. უგულავას, ვეტეჟიმ მ. დანელიასა და ბრიგადირ დ. ფირცხალავას განმარტებას თუ დაუჯერებთ, დანაკლისი გოჭების დახოცვითაა გამოწვეული, ოღონდ დაავიწყდათ, გოჭების სიკვდილი სათანადო აქტით დაეთარიღებინათ და ახალდაბადებული გოჭები შემოსავალში აეყვანათ.

ისეთი „გარდაქმნები“ ხდება წულუკიძეში, რომ ძველ ხონელებს არც კი დაესიზმრებოდათ. ახლა დამნაშავეთა პასუხისმგებლობის, სახელმწიფო ქონების დატაცების, მიწერების, თვალისახვევის ფაქტებს და სხვა მისთანა საკითხებს რაიონის პროკურატურა არაკვეს და აგროსამრეწველო გაერთიანების ხელმძღვანელებიც სახელმწიფო წესრიგის დასამყარებლად მკაცრ ადმინისტრაციულ ღონისძიებებს ახორციელებენ.

ქ. გომილაური



ნან. მ. კუტირისი

— ამ ცხოველთა სამყაროსთვის რომ მიგვეხედა, არ აკობებდა?!



ინვალიდობა მალაზიას ჭიდაობით მივაღებქი!.. წითელსამკლავურიანი თავს დამატყვდა, როგორც მესნი!.. გაატარა გოგო-ბიჭი, მერე — ვილაც ქალი ბავშვით!.. თავს დამჩხავლა: „ამხანაგო, გთხოვთ, მაჩვენოთ თქვენი საშვი!“ გოგონები, ბიჭუნები აწვებიან ღია კარებს!.. ვაკვირდები, ვერსად ვხედავ ინვალიდებს, ვეტერანებს!.. ინვალიდის საშვით შედის ახალგაზრდა შვილით, ცოლით!.. ომში ნამყოფს არვინ არ ჰგავს, არვინ არის ჩემი ტოლი! ვერ გავიგე, ამ ობიექტს „ინვალიდობა“ რატომ ჰქვია? ჩემი აზრით, უნდა ერქვას „ყმაწვილების მალაზია“!

ივანე ოსუფაიშვილი



ადამიანურს ვეძებ...

იყურებიან განზე
ცოტანი არა,
ბევრი,
კუდებს, გადებულს სარზე,
ართობენ სულის ბერვით!

ჯავრი არა აქვთ სხვისა,
არც არავისი სჯერათ,
წარმოიდგინეთ, ისხამს
მათი ხეხილი ჯვრაც!

დაეპატრონენ სარწყავს,
მოჰყვნენ ბუზივით ბზუილს
და მეძახიან „საწყალს“
მხიარულები ჭკუით!

სინდის-ნამუსის წყურვილს
ზურგი აქციეს სულმთლად,
ჭუჭყიანი აქვთ სული,
ალარაფერი — სუფთა!..



ეკალ-ბარდები — ირგვლივ!..
შხამში — თავი და ბოლო!..
მათი ცხოვრების წიგნი
ბოროტებაა მხოლოდ!

მაგრამ დადგება დილა,
დარეკავს ზარი დიდი,
გადაბარებს ყირას,
ვინაც მრუდე გზით მიდის!

ვინც რწმენის ფასი იცის,
სხვისი სიკეთით ხარობს,
მაქვს სიყვარული მისი,
გინდ ტანთ ემოსოს ჯვალო!

ვლოცავ წინაპრის ფესვებს,
დღეს მეც ფესვი ვარ თავად!
ადამიანში ვეძებ
ადამიანურს კვლავაც!

მოლაყაა

აუზნიანი და ავგულა
ამხანაგს ქირდვას არ აკლებს,
ოქროს ჩაგითვლის ავურად,
სიმათლეს გაგვიარაკებს!

დარბაზებს იკლებს ტრახანით,
მხარდაჭერას გრძობს „თამადის“,
უნდა აილოს ყაბანი
ლიტონი სიტყვის ქამანდით!

ხან ბრახით გადაირევა:
„ჩემს აზრს ჩასწვდაო ვერავინ!“
და ოცნებებით იღვუა
ჯერ შეუცნობის მშვერავი.

არ ელი, —
გამობრწყინდება,
ვით უდღეური იები!..
ნვენ სიტყვის ცეცხლი გვჭირდება,
ის გვკეპავს ლათაიებით!

მ ა კ ე ბ ი

გეკუთვნის,
ის არ გიკეთებს
და თუ გიკეთებს,
გაყვედრის,
მიუჩნევია სიკეთედ
სიკეთის რაღაც მაკეტი!

შენს შრომის ნაყოფს არ აგდებს
იოტად თავის არამთან,
კაპიკის ფასსაც არ ადებს
ფიჭის და ნიჭის ალაშქარს!

თუ გაგიჭირდა, დაგცინებს
კბილებში გაცრილ სიცილით,
ოლონდ დაეცე, დამცირდე,
ოლონდ დაგჭირდეს „მიცინი“!..

იქნება გაოგნებულმა
მსსნელად ის ერთი იგულვო!
შემართულია მთებურად,
ამპარტავნობს და დიდგულობს!

„ვოლგა“ ტუფლივით აცვია,
ინტერესი აქვს რაკეტის! —
აი, ასეთი კაცია!
— კაციო?!
— კაცის მაკეტი!



ღარიბება

რას დადინარ, ძმობილო,
კლინიკების კარიკარ? —
სნეულება გეწვია? —
გაუმაგრდი, არიქა!

გიმკურნალონ იქნება,
შეგიჩინონ პალატა!
ჭკუით უნდა მოიქცე,
არ იქნება ძალადა!

გული გაინაღისე,
ხელს ნუ იკრავ სატევარს! —
ავადმყოფო,
იცოდე,
ჩაყოლა სჯობს წათრევას!

სიზმარული

კლდესთან ვიდექ,
კლდე გაინსნა,
შევერე დევთა ბუნავს,
ურჩხულების თვალთა რისხვამ
ბორბალივით გამაბრუნა!..

იზმორება დევთა დედა,
კუპრისფერი თეჟა მოსავს,
ღმერთო, ნუთუ ცხალად ვხედავ
კაცისმჭამელ მანდილოსანს?!

მათთვის მე ვარ ბრიყვი ჯუჯა,
დამცინიან — „კაცუნაო!“ —
თამადის ხმამ დამამუნჯა,
სასმისებში დავცურაობ!..

ო, რას მივედ-მოვედები?! —
ფუთიანი კასრებია, —
ტუნებზე რომ მიიდებენ,
კასრში წამსვე დამრებიან!

ულვაშებში ვიხლართები,
არც — იმედი გადარჩენის! —
დევის თვალში ისატება
სასიკვდილო განაჩენი!..

მაგრამ ამ დროს ვიღაც ვაჭი
თავს დაეცა დევთა ბუნავს,
გადათელა თეთრი რაშით,
სამზეოზე დამაბრუნა!



სუმროპით

ტრფობის გუჯარი
უნდა დავსურო,
მეყო, სიყვარულს
რაც ვემსახურე,

და შენ გიმღერებ,
ღვინოვ კანურო,
მუზების სარქველს
თუ გაასურებ!

მე არ დავკარგავ
სიამის რწმენას,
ტრფობის გუჯარი
თუმცა დავსურე,

ახალ თემებზე
ლექსების რემას
მოვიხელთებ და
მოვანაღსურებ!..

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი

წინააღმდეგობა რომ ამბობდნენ, დედამიწა ხარის თუ ვეშაპის რქაზე დგასო, აღარავის სჯერა, მაგრამ ერთობ ბევრს სწამს, რომ ქვეყნიერება სკამზე ზის, უფრო ზუსტად სკამზე დგას სამყარო. დღეს ჩვენ სკამის მეფობა-ღმერთობის ხანაში ვცხოვრობთ. ამჟამად მხოლოდ სკამია ცხოვრების მესა-ქე-გამგებელი და თვითონ ცხოვრებაც მთლიანად სკამია — ყველა ავ-კარგი სწორედ სკამისაგან სტირს ადამიანებს.

არის სკამი გარეგნული შესახედობით ლამაზი, ზიზილ-პიბილებით მორთულ-მო-კაშმული, სული კი მახინჯი აქვს. არის შეუხედავი, უსამყარო სკამი, სული კი ლამაზი აქვს, ბევრი სიკეთით შემკული. არის მოვერცხლილ-მოოჭროვილი სკამი, სუ-ლით კი — მტკრიანი ან სულაც ცარიელი. არის ლაქით გაკრიალებული და არის სრუ-ლიად უბრალო, შეუღამაზებელი, არის შედებილი და შეუღებავი, შენიღბული და შეუნიღბავი (როგორც, ვთქვათ, ქალია ხო-ლმე — შედებილი მახინჯი, შეუღებავი მშვენიერი). არის იერთი არაფრით გამორ-ჩეული, ღარიბიც კი, მაგრამ სულით მდი-დარი სკამი. ხშირად ხვერდგადაკრულ ან ძვირფასტყავადაკრულ სკამს შინაარსით ჯვალგადაკრული სჯობია.

ფერები: არის სკამი თეთრი, შავი, წითელი, რუხი, ღურჯი, ყვითელი, მწვანე ან ფერშერეული... ერთი სიტყვით, რაც

სკამი ღვინო

კამფლატი

ბუნებაში ფერი კიაფობს, იმდენივე ფერისაა სკამებშიც, ოღონდ ზოგ თეთრ სკამს გული წავი აქვს, ზოგ შავ სკამს — თეთრი გული. წითელი სკამიც შეიძლება შავგულა იყოს. არის ერთფერიანი და მრავალფერიანი (მა-შასხადმე, ჭრელი). ერთფერიანი შესაძლოა გველის ბუნებისა იყოს, გველის პერანგი-ვით ჭრელი კი — ღაბუა ჩიტივით ან შვე-ლივით უწყინარი. ბარემ აქვე იმასაც მო-ვაყოლებ, რომ ქვის ცივ სკამზე შეიძლება თბილგულა ადამიანი იჯდეს, ტყავადაკრულ ან ხვერდოვან, რბილ და თბილ სკამზე კი — ქვისგულა, გულცივი კაცი. მაგარი სკამიდან რბილ სკამზე გადაჯდომა ყველას სიამო-ვნებს, თითქოს სამოთხეში შეუშვებო, ხოლო რბილიდან ვისაც მაგარზე გადასვამენ, არ სიამოვნებს, თითქოს სამოთხედან ჯოჯობე-თში გადაისროლესო.

ხშირად სკამის ბუნება-ხასიათი ძნელად დასადგენია: ხან სკამი იზიარებს მასზე მჯდომი ადამიანის თვისებებს, ხანაც თავის ბუნება-ხასიათს თვითონ ახვევს თავს. ხან კაცი იქცევა სკამად, ხანაც სკამი — კაცად. არის სკამი ექიმის, მწერლის, მეცნიერის (დახარისხებით — დოცენტის, პროფესორის, აკადემიკოსის), ხელოვნის, დამკერის, მინის-ტრის, მოსამართლის და ასე შემდეგ. მაგ-რამ ხდება, ექიმის სკამზე ყასაბი ზის, მწერ-ლის სკამზე — კალამქლუნგი გრაფომანი, მეცნიერის სკამზე — სხვათა აზრების შემ-კოწიწებელი, ხელოვნის სკამზე — ხელო-სანი, ბრძენის სკამზე — უვიცი (ზოგჯერ სულიელიც), მინისტრის სკამზე — საქმოსა-ნი, მოსამართლის სკამზე — სამართლის კანონთა პირველდამრღვევი, დამკერის სკა-მზე — დასაქერი, ჭირისუფლის სკამზე — სულაც სასაფლაოს აბეზარი მათხოვარი, ფეხებზე რომ ჰკიდია, ვინ წევს მიწის ქვეში... სკამების გამრავლების ტენდენციას-თან ერთად ამგვარი ტენდენციაც პროგრე-სულად მრავლდება..

არის სკამი, რომლის ხელში ჩასაგდება-დაც ადამიანი ეშმაკს მიჰყიდის ხოლმე

სულს. თანაც უცნაური ამბავი ხდება: მაგა-ნი ამა თუ იმ სკამის ხელში ჩაგდებას მ-ს-სკამზე მჯდომარეს სასტიკად აძაგებს. უწყე-რად ლანძღავს და აკინებს და როცა თვი-თონ მოკალათდება ზედ, იმასვე აკეთებს (ან უარეს სულმდაბლურ ამბებსაც ატრია-ლებს), რასაც თვითონ სხვას უძრახავდა. ხდება ასეც: სწორედ იმას აქებს, რასაც ამ სკამის ხელში ჩაგდებადმდე აძაგებდა. ასეთზე ამბობენ: ადრინდელი თავისი რწმენა სკა-ში გაცვალაო. ამგვარი ამბები იმის ბრა-ლია, რომ ჩვენს დროში კარიერისტის სკამი მეტია, ვიდრე ნამდვილი საზოგადო მოღვა-წისა. თუმცა ისიც ნიშანდობლივია, რომ კა-რიერისტები უფრო ხშირად იჩემებენ საზო-გადო მოღვაწის ტიტულსა თუ გვირგვინს.

სკამები მარტოოდენ მაღაზიებში კი არა, ბევრ სხვა ადგილებშიც იყიდება, რა თქმა უნდა, ფარულად, თანაც, ეშმაკმა უწყის, რა ფასად. ამის განმსაზღვრელია, რამდენად სარ-ფიანია ესა თუ ის სკამი, ასე ვთქვათ, რამ-დენ მოგებას იძლევა ე. წ. „ლიველი“. დიას, ჩვენს დროში ერთობ ბევრი სკამი იყიდება, ზოგიც იცვლება, ზოგსაც იგონებენ მავანის-თვის (ამას შტატის გამოძენას ან ზოგნას ეძახიან).

არის, სხვათა შორის, მოსაწვევით დასაჯ-დომი სკამიც, ზოგზე თავაწვევითი ტაცი-აობა რომ იმართება, ზოგსაც სათოფეზე არავინ ეკარება. საერთოდ კი ეს ერთობ დროისობითი, სახელდახელო სკამია და ამაზე სერიოზულად ლაბარაკის გაგრძელება არც ღირს!..


არის სკამი ფეხებზე ნაბლებდაკრული (პრი-ალა იატაკი რომ არ დაკაროს) და ძველი გლეხის ბიჭივით ფეხსშვება. არის ფეხ-მრული და ფეხსწორი, ფეხმორყეული, საერ-თოდ მორყეული და მუდამ მოურყეველი. არის საერთოდ მრუდე და სწორი სკამი, ეჩო-სკამი და ხელგაშლილი. არის სკამი — საპნის ბუშტი, სკამი, მსგავსი ქვიხი, და სკამი, თითებზე წყალივით ან ქვიშასავით რომ გაგიძვრება.

არის სკამი-თითი, სკამი-მუშტი, სკამი-სათ-ნოება და სკამი-მრისხანება!..

არის ბამბით, ნამჭით, თივით ან უბრალო ნაჭრებით გატენილი სკამი და არის სკამი-ტყვია, სკამი-ზარბაზანი, ბოლო ხანს გაჩნდა სკამი-ნეიტრონული ბომბი და ბირთვულია-რალიანი სკამიც. არის სკამი ბრძანებების გამცემი და სკამი მხოლოდ სხვათა ბრძანე-ბების აღმასრულებელი. ზოგ სკამს ტყვიას ესვრიან, ზოგიც თვითონ ესვრის სხვა სკამს ტყვიას!..

სკამო, ო, სკამო, ერთობ ხშირად უღმერთო დემერო! მე რომ მკითხონ, რაც დედამიწის ზურგზე უხედურება ხდება, თითქმის ყვე-ლაფერი შენი ბრალია!.. ომები სომ შენი ბრალია და შენი! ხშირად სკამები იწყებენ ომს, სკამი სკამს ებრძვის და უბრალო ადა-მიანები კი იზოცებიან!..

არის სკამი ცვალებადი და უცვლელი! მართალია, სკამების უმრავლესობა ასეა და მაგრებულ-ჩადულაბებულ-დაბმული და მაინც სკამების უბრალო ჭრიალი კი არა, გულისშემძღონებელი რისინ-რისინი ისმის ხში-რად. ახლანდელი სამყარო ხომ თავისთავად გადაიტვირთა ხმაურით, ყველაზე მეტად სკა-მები ხმაურობენ!




ნახ. ი. ყაინაშვილისა

უსიტყვოდ

აკაკი გეგაძე

მალაზია „საბედნიეროში“, რომელსაც, როგორც ცნობილია, სინარული და ბედნიერება უნდა მოჰქონდეს ახალდაქორწინებულთათვის, მოკალათებული იყვნენ თაღლითები და საქმოსნები.

ნახ. ბ. ლომიძისა



საბედნიერი



თბილისური ტრანსპორტი

წამოვაგლოთ სკამიდან!..

კაცი სკამის ხაკანში როცა ჩაიკეტება, როცა კარიერიზმის ობ-ობობა ედება და საერთო-სახალხო საქმეს აღარ არგია, — საზოგადოებისთვის ის ზედმეტი ბარგია! პატივმოყვარეობის სენი უღრღნის გონებას, ცდილობს, მხოლოდ თავისთვის დაიგროვოს ქონება! იგი ჩვენი ცხოვრების ნაღდი ანტიპოლია, — უგვანო და უზნეო, — დასანდობი როდია! ქვეყნის საკეთილდღეოდ არასოდეს სცალია, რყენის და წამლავს თაობას, საშიშია ძალიან! ზოგს ბიძა ჰყავს მფარველი, ზოგს — მამილის მამიდა!.. ყველა კარიერისტი წამოვაგლოთ სკამიდან!

შოთა ამირანაშვილი



ოდითგან ჩვენი ჭურჭელი — დოქი, ჩაფი თუ კეცია — კეთდებოდა და იწვოდა, როგორც რიგი და წესია! ახლა კი ყალბისმქნელები აქა-იქ შემოგვესია, სულ შეგვირცხვინეს ხელობა და გავვილანძღეს ცენზია! ჭურჭლით ნაშოვნნი ფულელები რომ გაეჩხირათ ყელშია, ჩამოვაშორეთ ამ საქმეს, ახლა სხედან და ხვნივინ... ვინც ჭურჭელს კარგად ვაკეთებთ, გვაქვს ერთი ვივიშია! გზაზე დოქების, კეცების დაწყობას უკვე გვიშლიან!.. არის ჩხუბი და ყაყანი, ყვირილი, გაწამაწია!.. „ნიანგო“, ჭურჭლისმკეთებლებს წამოგვესმარე პაწია!

ლეონის შენობა

პაროდია

სპირტმსმელი ბიჭი ვიყავი, მკერდზე ყანწები მეხატა, როს ამირჩევდნენ თამადად, ხალხს ვეცემოდი მეხატა!.. დრო არა მქონდა, — სარდაფში არაყი გამომეხატა, ამიტომ სხვებთან ვლოთობდი, რადგან შინ ცოლი „ტეხავდა“! თუ ვინმეს სურდა სუფრასთან რომ გამხდარიყო სიზანი, ყანწს შევევსებდი, დამეხარხო, — ეგ იყო ჩემი მიზანი! დღეს უკვე შემომეცალნენ მსმელი ლოთები ძველები, ღვინო-არაყი არა მაქვს, თავს ვიქცევ ხილის წვენებით! მე სასმელს მაინც ვიშოვი, თუნდ მოკვდეს თქვენი ლევანი! — შაქარს რომ წყალში ავურევ, რად მინდა ყურძნის მტევენი?!

რაჟო სვანიძე



ცხოველები

ნოველა

27.11 1987

მალეობა საათთან ერთად საკუთარი თავიც „დაქოქა“. რომ გაეღვიძა, 5 სრულდებოდა. 5 წუთის მერე კიდევ დარეკა. ჯალბას ეძინა. გარეთ ყინავდა და ოთახშიც გვარიანად ციოდა. ჩაიცვა, თვალბეჭი გაცივებული წყალი შეისხა, დაივარცხნა და გარეთ გავიდა. ჭიშკართან არ იყო მისული უკან რომ გამობრუნდა ძილ-ბურანიანად გამოკეკული. ოთახში შევიდა და ლიმილით, თავის ქნევით ჩაიდგა კბილების პროთეზი. გარეთ რომ გამოვიდა, აღარ ეღიმებოდა, რადგან ცულად ჰქონდა დახდილი. ერთი-ორჯერ ხომ სულაც დაავიწყდა და ისე წავიდა, ერთი-ორჯერ ავტოსადგურიდანაც დაბრუნდა. მაშინ ან ვერავინ ნახა, ვინც უნდა რედაქციაში (კიდევ კარგი, ჩიფჩიფი არ დასჭირვებია), ან ისე უხერხულად გრძნობდა თავს რედაქციის დერეფანში მათ-სოერის ჯოხივით დაყუდებული, სალამსაც ვერ ახერხებდა რიგიანად. თავსაც კი არ იღებდა ნაცნობებს.

მაინც არ მოეშვა იმ ფელეტონს. რაკი რედაქციის მუშაკს მოეწონა და დახმარება დააწყებინა, მარწუხივით ჩაეჭიდა. აშკარად ატყუებდნენ, მაინც არ უშვებოდა.

სხვაგვარად არც შეეძლო! ქუჩაში ლამის ფარნები ენთო, მაგრამ სიარული მაინც ჭირდა მოყინულზე. მას კი შეიძლება გაქცევაც დასჭირვებოდა. მაშინ-დაღლივით რომ შეეღობა მაწინწალა ძალღს. გათენებულზე ის ძალიან თვითონვე გაერიდებოდა, ლამით კი ქუჩის ბატონ-პატრონად თვლიან თავს ასეთი ძაღლები.

ავტობუსი ათის ნახევარზე ჩავიდა დედაქალაქში. რედაქციაში 10 საათზე იწყებოდა მუშაობა. ჯერ კანტიკუნტად მოდიოდნენ. ის რომ შემოვიდა, თვითონვე დაასწრო გულიანი სალაში და მოიკითხა. მეგრე ზევით აიყვანა (ჩემთან არისო, დარაჯს უთხრა გასასვლელში) და სამუშაო ოთახში მიიწვია. ატყუბოდა, თვითონაც განიცდიდა ტყუილს. აშკარად იგრძნობოდა მასში გავლენიანი მუხრუჭი.

მისთვის გასაგები იყო მასპინძლის გასაჭირი. თვითონაც ყოფილა ამ დღეში (გაახსენდა, ერთი საპენსიო კოლეგა რომ ამბობდა, ჩემი ჭკუით არასოდეს მიშუშავიაო). სამართლიანობას რომ შეუქებდნენ რაიონში, ამიტომაც იტყოდა ხოლმე, მეც კარგი ნაგავი ვარო, მაგრამ ნათლად ახლა შეიგრძნო, სიმართლის დაბრკოლება და შეჩერება რომ ცოცხლად დამარხვა ყოფილა. მოთმინებაც ყელში იყო ამოსული. წინა თვეებში წაწალს რომ თავი დავანებოთ, აღარც ახსოვდა (სათვალავი აერია), ზედიზედ მერამდნე ოთხშაბათი იყო, რაც ქალაქში ჩამოვბოდა, დაბეჭდვის ამბებს კითხულობდა და მაშინვე ვარბოდა უკან. ავტობუსისთვის უნდა მიესწრო და დღის მეორე ნახევარში მაინც მისულიყო სამსახურში. ყველა დავალებას წინდაწინ ასრულებდა იმ დღისათვის, მაგრამ ახსნა-განმარტებას მაინც ვერ აღწევდა თავს.

მაინც ვერ უთხრა. ერთხელ კიდევ დააჭირა ნერვებს. წიხლი და მაინც ის უთხრა, თქვენს იმედზე ვარო. ჩხუბი და ყაილა რაიონშიც ყუფოდა ყვირილისპირელს (ერთხელ ასეც გაეცნო ერთ კოლეგას, ჩხუბის განყოფილებაში ვმუშაობო). რაკი საქმე

გაძლებზე იყო, უნდა გაეძლო. სხვაგვარად არ გამოდიოდა. მოთმინებით და ლოდინით უნდა გაეცნა ის მუხრუჭი, ამ არსებითად მართალ კაცზე რომ მოქმედებდა. ჯერ ასე უნდა ეცადა, „ზევით“ კი ყოველთვის ხსნილი იყო გზა.

ის ქალი ხომ მთლად გათავებდა; სხვებს რომ წუთებს თვლიდნენ, ის დღეებს აცდენდა სამსახურში, მოსკოვში დაფრინავდა, სპეკულანტობდა და კიდევ ილანძლებოდა აქვით იმუქრებოდა. რიონში კი ხმასაც ვერ სცემდნენ.

უნდა გაეძლო. ამიტომაც უფრო მეტად იყო მოვალე გაეძლო და ებრძოლა. უნდა მოეთმინა ოჯახში შინაურების ბუნტი და სამსახურში ქირქები, მაინც რა გამოდი-სო?! ბოლოს ხომ ქალაქში ყოველ წასვლაზე ჭირვეულობდა ცოლი, მგონი, ეჭვიანობდა კიდევ, რადგან გზის ხარჯი მონახევრე გაუსხდა და სახლში ხელფასიც ვეღარ მიეტანა. სამსახურში „შინაურულად“ უთხრეს, რას ფართხალობ, ხის ხმაღს იქნევო!..

უნდა ფართხალა. ხშირ-ხშირად უნდა ჩაეთიხა ქალაქში ფელეტონისათვის, წინ გადამდგარი ძაღლებისათვის თვითონაც ეღრინა და პროთეზები ეჩვენებინა (კბილები ამ დღეინა-ღრენაში დასძვრა). უნდა ეფართხალა, რომ გამოქვეყნებულ ფელეტონს და-ნაშაული გამოემკვლავებინა.

... უკან დაბრუნებისას ავტობუსში უკანა დასჯდომზე მიკუნჭული „თვლიდა“, შიგნით კი მთელი ვულკანი უფლავდა. თვალი ტეხდა, სეპარატიულ ზავს ითხოვდა. უსიტყვოდ შემოუძახა აბუნტებულ შინაარსებს: „უნას პროთეზი დააჭირე! კბილები დაგჭკრა? ჭურნალისტიმთვის უშვებურება ისაა, კალამს თუ დაძვრა კბილი!“

სალამოს, შინაურები რომ ჩაწვნენ, მაგიდას მიუჯდა. ეს იყო მისი საფართოლო ასპარეზი. „წერად“ იმ გრძობით დაჯდა, შტან-სტიტი რომ წონასთან მივა, სარეკორდოს-თან. მისვდა, ასე არაფერი გამოვიდოდა. თავი დაარწმუნა, სათქმელთან ისე უნდა გრძნობდე თავს, როგორც ჩიტი გაფრენის წინო...

... „თუ სიმართლე გიყვარს, მისთვის ბრძოლაც უნდა შეიძლოს, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. სიმართლისათვის მსხვერპლის გაღება (ტანჯვაც) უნდა შეგეძლოს. მაგრამ ესეც ცოტაა. უნდა შეგეძლოს სიმართლისათვის მსხვერპლის გაღებაც და სურლის სიღრმეში კმაყოფილებას უნდა გძნობდე, რომ შენ გხვდა წილად სიმართლისათვის მსხვერპლის გაღების ბედნიერება!“

სხვა ვინ ჰყავდა და ისევ თავის „ჯარისკაცებს“ არწმუნებდა ამაში: საკუთარ საღ თვალს, სმენისა და სხვა ორგანოებს. გულს და გონებას დაარწმუნება არ სჭირდებოდათ, თვითონვე კარნახობდნენ ახლა ამას და უხაროდა, დანარჩენებიც რომ ეთანხმებოდნენ. თავს ისე გრძნობდა, როგორც მთავარსადალი, ჯარისკაცები რომ უყოყმანოდ მიჰყვებიან. ცალთვალა „სარდლი“ ცხოვრებას საღი თვალთი უყურებდა და უბრალოდ აღარ ახსენებდა იმავე გულსა და გონებას, როგორ გაუჭირდათ სამსახურებრივა

წინსვლის დათმობა, როგორ კენესოდნენ და პროტექტორისკენაც კი გაიწიეს შინაურების თუ გარეშთა წაქეზებაზე. მათვე შინაურები, რომ სპეკულანტის წინააღმდეგ ბრძოლა არჩიეს. უკან კი არა, წინ უნდა გაიხედო მათი ჭირიმი, რომ სხვაგან თუ არა, საკუთარ არსებაში მინც დაამარცხეს (ამოძირკვეს, დათრგუნეს, დააჩოქეს...) კარიერისტი. დიან, მოწინააღმდეგე საკუთარ არსებაშიც უნდა ეძებო!..

„ცხოვრება დიდი სელექციონერია. მან გამოიყვანა „მუხის“ ახალი ჯიში, რომელიც ნიავის პირველსავე წამოქროლაზე მიწაზე წეება და ამ საქმეში ლერწამსაც ანსრებს. ასეთ კაცს ლერწამში ყველაფერი ესება, „მუხად“ დაწინაურებენ და პატარა კაცად ასაღებს თავს, რა შემიძლიაო?!“

„აუცილებელია ბრძოლის კულტურა. საჭიროებისას ბოდიშიც უნდა მოიხადო ისე, რომ ბოდიშმა კმაყოფილება მოგანიჭოს!“

„მოკრძალება უფრო ძნელია, ვიდრე თავხედობა!“

„ცხოვრება ისე უნდა ავაწყოთ, რომ მართლ სუფთა ხელფასის კავალერის კი არა, ყველას (იმ სპეკულანტისაც) დევნი ვაძვინებ; „გაუმარჯოს ჯამაგირს!“

„ნამდვილ ხელმძღვანელს, მმართველს, ჯერ საკუთარი თავის მართვა უნდა შეეძლოს, რომ უპრობუკრილი ყმა იყოს საკუთარი სინდისისა და ბატონი საკუთარი სურვილებისა...“

სხვა ვინ ჰყავდა კი არა, მთელი ხელმძღვანელობა ჰყავდა, მაგრამ ხელმძღვანელობის მისი იმედიც ხომ ჰქონდა?! მისი თვალის, ყურის, მარჯვენის, სინდისის... ამიტომაც ეთათბირებოდა ქალაქზე თავის ჯარისკაცებს (სინდისი თავმჯდომარეობდა ამ თათბირზე). მომავალი ოთხშაბათისთვის რომ ემზადებოდა, მისი საწერი მაგიდა ახლა საფართოლო კი არა, საბრძოლო მოედანი იყო. შუალამისას, დაწოლის წინ, სადღაც დიდი ხნის წინათ გავონილი ფრანა გაასვენდა და იგი ძილშიც ამოილულდებოდა:

— ცხოვრების გემო!.. ცხოვრების გემო!.. ძილშიც მთელი არსებით იყო კმაყოფილი, იმ კიბუნისაც კი, მკერდში აგერ მერამდნე წელიწადი რომ ფარწით უკრავდა კვერს. იცოდა, კეთილთვისებიანი იყო. მაშ, როგორ! კეთილ ნიადაგში მოხვედრილი ბოროტი თესლიც კეთილად გაღვივდება! მკერდში კი სიკეთე ედგა, სოფელ-ქალაქის სამყოფი სიკეთე — ბოროტის გამკეთილთვისებიანი!

— ცხოვრების გემო!.. ცხოვრების გემო!.. დილას დიდმა სისარულმა გამოაღვიძა: ელენიზმრა, ფელეტონი დაბეჭდათ და ერთი დღე შემატებლად მის სიცოცხლეს, ფელეტონდღეებით რომ ითვლიდა. გაფუჭებული თვალცივ მორჩენოდა და სისარულით ცაში დაფრინავდა 50 წელს გადაცილებული კაცი. ასე ბავშვობის სიხმრეები თუ ფერინა მხოლოდ.

იწვა ლოგინში გაღვიძებული, მაგრამ თვალბეჭდული და გახელას ვერ ბედავდა. მეგრე ხელისგული დაიფარა საღ თვალზე და ნელა, სულ ნელა, ნ-ე-ლ-ა გაასვლია მეორე.

ფა-ა-ფუ!.. სად იყო სინათლე!.. როგორია ციდან მიწაზე დახეთქება, ჰა?! ცხოვრებასთან ჭიდილში ეს არც პირველი იყო და, რა თქმა უნდა, არც უკანასკნელი. ხან ცხოვრება იყო ზემოთ და ხან თვითონ — ქვემოთ, თავის ფელეტონებშიანა.

„ყველაფერს გაუძლებს დამარცხების მწარე ძირზე დაყვნილი სიმართლის ნერგი!“

„ცხოვრების გემო!..“
„ცხოვრების გემო!..“

სოსო მამარაშვილი
(ქ. საჩხერე)

მაც ღავიწყა

ღაჩქარება..

იუმორასკა

აი, ღაიწყეს ღაჩქარების ყლორტებმა გამოჩენა! ახლებურად შევხედე საკუთარ ძალებს, ახლებურად მოვსინჯე იგი. რა უფრო მეხერხება, რით შემიძლია შევიტანო ჩემი წვლილი ამ ღაჩქარებაში?

ვერ ვიტყვი, ერთბაშად შევძლებ ყველაფერს-მეთქი, მაგრამ ღაჩქარების სტრატეგიისა და ტაქტიკის მხრივ, ვფიქრობ, გარკვეულად გამოვაგლენ ჩემს შესაძლებლობებს.

თითქოს ცივი წყალი შემაშხეფესო, გამოვფხიზლდი, სხვანაირი გულისცემა ვიგრძენი მკერდში. ჯანსაღი გონებით ავწონ-ღაწონე ყოველივე. საღ ვიყავი აქამდე? რატომ მივყვებოდი ასე მღოვრე ღინებას?! რამდენი დრო დამიკარგავს უქმად!..

ათი წლის წინ ღაწიწყე მესამე აგარაკის მშენებლობა.. ვერ იქნა და ვერ ღაგაყენე საშველი! — პირველ სართულს ვერ ავცილდი! მიზეზი არ მეღეოდა: ხან საშენი მასალის უქონლობა, ხან მუშახელის პრობლემა, ხან დრო არ მყოფნიდა არაფრისთვის!..

„განახლების სიოს ქროლასთან ერთად რაღაც უნდა შეიცვალოს-მეთქი ჩემში!“ — ამ ფიქრებით მივედი სამსახურში, გღაღაბრუნე ტაბელი. გამოვედი გარეთ, ღავიჭირე ტაქსი და წავედი ცემენტის სპეციალიზებულ მაღაზიაში.

— ცემენტი მინღა ამღენი და ამღენი! — მივმართე გამყიდველს.

— ცემენტი არა გვაქვს, ერთ თვეში გამოიარეთ და გვექნება! — მომიგო მშვიღაღ.

— ერთი თვე რა ამბავია?! მე ახღა მჭირღება, თვეობით ღა წღობით თუ ვიარე თითოეულ სამშენებლო მასაღაზე, აღბათ კიღევ ათი წელი მოვუნღები მესამე

ნახ. ი. ყინღაზვიღისა



უსიღყვოღ

34



აგარაკის მეორე სართუღის აყვანას!.. — განვუცხადე განაწყენებულად. — ეტყობა, გარღაქმნა, ახლებური აზროვნება და ღაჩქარება უცხო ხიღია თქვენთვის! — მკაცრად ღავუმატე ნათქვამს.

ამ სიტყვებმა ნირი უცვალა გარღაუქმნელ და აუჩქარებელ გამყიდველს — არ მოეღოღა კღიენტისაგან ასეთ თავღასმას!..

აი — აქეთ, აი — იქით, ღიღი ღავა-კამათის შემღეგ, სანამ არ მივიღე ის, რაც მინღოღა, ფეხი არ მოვიცვალე მაღაზიღდან.

ძველებურად რომ მეაზროვნა და გარღაქმნის, ღაჩქარების სტრატეგიისა და ტაქტიკისთვის არ მიმემართა, ხელცარიელი გამოვბრუნღებოღი უკან და ვინ იცის, როღის შევიტენღი ჩემთვის სასურველ სამშენებლო მასაღას?!.

მეორე ღღეს უფრო გათამამებულმა, გღაღაბრუნე თუ არა სამსახურში გამოცხადების ნიშნად ტაბელი, გავწიე ქვიღის შესაძენად.

— ქვიშა როგორ არა გვაქვს, მაგრამ ამ კვარტაღის ფონღი რეაღიზებულღია, იმ კვარტაღში მობრძანღით! — ამისსნა ღამსვღღურმა.

აქაც უარესი ღღე ვაწიე ძველებურად მოაზროვნე ეღემენტს და სანამ ჩემი არ გავიტანე, არ მოვეშვიღ!..

მესამე ღღე ბრიკეტის შეტენას ღავუთმე!

მეოთხე ღღე — ხეღოსნების გამოწერას!

რამღენიმე ღღეში კი მეორე სართულიც ავაშენე და მესამე აგარაკიც გღაღავსურე.

თურმე ყვეღაფრის მოგვარება და გაკეთება შემიღღება! მთავარია მონღომება, საკუთარ შესაძლებლობათა გამოვღენა!..

ღაჩქარების სტრატეგიისა და ტაქტიკის ღრმად გააზრებამ და განხორციელებამ სასურვეღი შეღეღი გამოიღო: ზოგმა გარღაქმნის სიკეთე იღემა, ზოგმა — ახლებურად აზროვნების, ზოგმა — ღაჩქარებისა!..

ნოვადი გართიღია

ნახ. ბ. ლომიძისა



დღეს ამერიკის შეერთებული შტატები ომით
 ემუქრება გვირ ნიკარაგუელ ხალხს, ცდილობს
 წაართვას მას თავისუფლება და სუვერენიტეტი,
 როგორც ეს გრენადაში მოხდა.



საბჭოთა და იუზმორის
 შუკანალი „ნინაზი“ №8
 (1738). აპრილი. გამოდის
 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
 ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი
 (პასუხისმგებელი მდივანი),
 ჭაბუა ამირეჯიბი, ნოზაძე
 ბართაია, ბორის გურგუ-
 ლია, რევაზ თვარაძე, ჭე-
 მალ ლოლუა, ნოდარ მა-
 ლაზონია (მხატვარ-რედაქ-
 ტორი), ალექსანდრე ხამხო-
 ნია, ბეჟან სიხარულიძე,
 (მთავარი რედაქტორის მო-
 ადგილე), ჯანსუღ ჩარკვი-
 ანი, თამაზ წიგწივაძე, ნაფი
 ჯუსხიოთი.

ტექნიკური რედაქტორი
 ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად
 23.03. 87 წ. ხელმოწერი-
 ლია დასაბეჭდად 15.04.
 87 წ. ქალაქის ზომა
 60x90¹/₄, ფიზიკური ნაბე-
 უდი ფურცელი 1,5, სააღ-
 რიცხვო-საგამომცემლო თა-
 ბახი 1,9, საქართველოს კა-
 კის გამომცემლობა, ლე-
 ნინის 14. შეკვ. 780.
 შე 09576 ტირაჟი 144.000
 ეურნალი გამოდის თვეში
 ორჯერ. რედაქციაში შემო-
 სული მასალები ავტორებს
 არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.
 თბილისი-8, რუსთაველის
 პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი
 რედაქტორის — 99-55-54,
 მთ. რედ. მოადგილის —
 93-19-42, პ/მგ მდივნის —
 93-10-78, მხატვარ-რედაქ-
 ტორის — 99-02-38, გან-
 ყოფილებათა გამგეების —
 93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
 მუშაეების — 99-02-38,
 მდივან-მემა ნქ ან ის —
 99-76-69.

სატირიკო - юмористиче-
 ский журнал «НИАН-
 ГИ». (На грузинском
 языке). Тбилиси, пр. Ру-
 ставели № 42. Издаель-
 ство ЦК КП Грузии,
 Ордена Трудового Крас-
 ного Знамени типогра-
 фия издательства ЦК
 КП Грузии, Тбилиси,
 улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.
 ინდექსი 76137

КОНТРОЛЬНЫЕ
 ЭКЗЕМПЛЯРЫ